

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	12
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	12
6. ძირითადი საშუალებები	13
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	14
8. გაცემული ავანსები	14
9. საგადასახადო აქტივი.....	15
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	15
11. კაპიტალი	16
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	16
13. მიღებული ავანსები	17
14. შემოსავალი დარბაზების, სტადიონების და სხვა სპორტული ობიექტების იჯარიდან	17
15. შემოსავალი მომხარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	17
16. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	17
17. ფინანსური შემოსავალი	17
18. პირობითი ვალდებულებები	17
19. ფინანსური რისკების მართვა.....	18
20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	19
21. ცვლილება შესადრის მონაცემებში.....	20
22. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	20

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	21
2. საწესდებო კაპიტალი	21
3. სამომავლო დაგეგმილი სიახლეები.....	33
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	35
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	35
6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სპორტმშენსერვისის“ მენეჯმენტსა და დამფუძნებელს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სპორტმშენსერვისის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი ზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველში“ აღწერილი საკითხებისა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მიღება ძირითადი საშუალებების რეალურ ღირებულების დადგენისას გამოყენებულ დაშვებებზე და შეფასებებზე, ასევე ძირითადი საშუალებების ეკონომიკური მომსახურების ვადებზე. რეალური ღირებულებით შეფასებული ძირითადი საშუალებების ღირებულებამ, 2024 და 2023 წელს შესაბამისად შეადგინა 93,160 ათასი და 96,439 ათასი ლარი. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან და ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან მიმართებაში. ასევე, კომპანიას არ უმსჯელია ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტის საჭიროებაზე მიუხედავად გაუფასურების ნიშნების არსებობისა, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში. დამატებით მე-6 განმარტებით შენიშვნაში გადაფასებულ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი ბასს 16 სტანდარტის მოთხოვნებით გათვალისწინებული განმარტებითი ინფორმაცია, კერძოდ, არ არის გამჟღავნებული ინფორმაცია ძირითადი საშუალებების ცალკეული გადაფასებული ჯგუფისათვის საბალანსო ღირებულების შესახებ, რომელიც აღიარდებოდა, თუ ისინი აისახებოდა თვითღირებულების მოდელით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხები

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც გამოსცა პირობითი მოსაზრება 2024 წლის 12 ივნისს.

სხვა ინფორმაცია რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია, მოიცავს ინფორმაციას რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება. ასევე, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება, კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული არღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ბუღალტრული არღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას

და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მიხეილ აბაიაძე/სერთიფიცირებული აუდიტორი/პარტნიორი
შპს „მოორ ეიბისი“

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 30 ივნისი 2025 თბილისი, საქართველო



შპს „სპორტშენსერვისი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	329,723	330,871
არამატერიალური აქტივები		-	2
სულ გრძელვადიანი აქტივები		329,723	330,873
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები		256	246
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,164	1,576
გაცემული ავანსები	8	893	4,246
საგადასახადო აქტივი	9	28	127
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	5,049	16,534
სულ მიმდინარე აქტივები		7,390	22,729
სულ აქტივები		337,113	353,602
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	317,664	320,117
გადაფასების რეზერვი		13,839	21,806
გაუნაწილებელი მოგება		4,943	3,832
სულ კაპიტალი		336,446	345,755
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	658	1,045
მიღებული ავანსები	13	9	6,802
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		667	7,847
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		337,113	353,602

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 ივნისს:

თორნიკე ტყეშელაშვილი
დირექტორიმაია ნაჭყებია
ბუღალტერი

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
<i>აქტივები</i>		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	6	329,723
არამატერიალური აქტივები	-	2
სულ გრძელვადიანი აქტივები	329,723	330,873
<i>მიმდინარე აქტივები</i>		
სასაქონლო მატერიალური მარაგები	256	246
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,576
გაცემული ავანსები	8	4,246
საგადასახადო აქტივი	9	127
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	16,534
სულ მიმდინარე აქტივები	7,390	22,729
სულ აქტივები	337,113	353,602
<i>კაპიტალი</i>		
საწესდებო კაპიტალი	11	317,664
გადაფასების რეზერვი	13,839	21,806
გაუნაწილებელი მოგება	4,943	3,832
სულ კაპიტალი	336,446	345,755
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	658
მიღებული ავანსები	13	9
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	667	7,847
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	337,113	353,602

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 ივნისს:

თორნიკე ტყეშელაშვილი
დირექტორი

მაია ნაჭყებია
ბუღალტერი

შპს „სპორტშენსერვისი“
 მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავლები დარბაზების, სტადიონების და სხვა სპორტული ობიექტების იჯარიდან	14	5,369	5,126
შემოსავალი მომხარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან სხვა შემოსავალი	15	1,539 75	1,579 76
სულ შემოსავალი		6,983	6,781
თანამშრომელთა სარგებელი		(3,529)	(2,933)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები		(2,216)	(1,932)
ცვეთა და ამორტიზაცია		(624)	(611)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა		(573)	(493)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი	7	(516)	(121)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(1,456)	(1,354)
საოპერაციო ზარალი		(1,931)	(663)
ფინანსური შემოსავალი	17	1,057	1,787
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		387	-
საკუთრო მოგება/ზარალი		10	(1)
მოგება/ (ზარალი) გადასახადების გადახდამდე		(477)	1,123
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		(477)	1,123
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(477)	1,123

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 ივნისს:

თორნიკე ტყეშელაშვილი
 დირექტორი



მაია ნაჭყებია
 ბუღალტერი

შპს „სპორტმშენსერვისი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავლები დარბაზების, სტადიონების და სხვა სპორტული ობიექტების იჯარიდან	14	5,369	5,126
შემოსავალი მომხარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	15	1,539	1,579
სხვა შემოსავალი		75	76
სულ შემოსავალი		6,983	6,781
თანამშრომელთა სარგებელი		(3,529)	(2,933)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები		(2,216)	(1,932)
ცვეთა და ამორტიზაცია		(624)	(611)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა		(573)	(493)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი	7	(516)	(121)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(1,456)	(1,354)
საოპერაციო ზარალი		(1,931)	(663)
ფინანსური შემოსავალი	17	1,057	1,787
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		387	-
საკურსო მოგება/ზარალი		10	(1)
მოგება/ (ზარალი) გადასახადების გადახდამდე		(477)	1,123
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		(477)	1,123
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(477)	1,123

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 ივნისს:

თორნიკე ტყეშელაშვილი
დირექტორი

მაია ნაჭყებია
ბუღალტერი

შპს „სპორტშენსერვისი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2023	236,462	309	21,806	258,577
წლის სრული შემოსავალი	-	1,123	-	1,123
ოპერაციები მესაკუთრებთან:				
საწესდებო კაპიტალის ზრდა	83,692	-	-	83,692
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(37)	-	-	(37)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები (შენიშვნა 11)	-	2,400	-	2,400
31 დეკემბერი 2023	320,117	3,832	21,806	345,755
წლის სრული შემოსავალი	-	(477)	-	(477)
ოპერაციები მესაკუთრებთან:				
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(2,453)	(169)	(7,967)	(10,589)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები (შენიშვნა 11)	-	1,757	-	1,757
31 დეკემბერი 2024	317,664	4,943	13,839	336,446

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 ივნისს:

თორნიკე ტყეშელაშვილი
დირექტორი



მაია ნაჭყებია
ბუღალტერი

შპს „სპორტმშენსერვისი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2023	236,462	309	21,806	258,577
წლის სრული შემოსავალი	-	1,123	-	1,123
ოპერაციები მესაკუთრებთან:				
საწესდებო კაპიტალის ზრდა	83,692	-	-	83,692
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(37)	-	-	(37)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები (შენიშვნა 11)	-	2,400	-	2,400
31 დეკემბერი 2023	320,117	3,832	21,806	345,755
წლის სრული შემოსავალი	-	(477)	-	(477)
ოპერაციები მესაკუთრებთან:				
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(2,453)	(169)	(7,967)	(10,589)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები (შენიშვნა 11)	-	1,757	-	1,757
31 დეკემბერი 2024	317,664	4,943	13,839	336,446

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 ივნისს:

თორნიკე ტყეშელაშვილი
დირექტორი

მაია ნაჭყებია
ბუღალტერი

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(477)	1,123
არაფულადი კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6	624	611
საპროცენტო შემოსავალი	17	(1,057)	(1,787)
უიმედო და საექვო ვალების ხარჯი		516	121
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ანარიცხის ცვლილება		-	26
შემოსავალი ძირითადი საშუალების ინვენტარიზაციიდან		-	-
საკურსო ზარალი		(10)	1
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(საქმიანობაზე გასული) ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე		(404)	95
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:			
ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ მარაგებში		(10)	(52)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	7	(104)	373
ცვლილებები გაცემულ ავანსებში	8	3,353	(4,246)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში		99	26
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:			
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	13	(387)	(293)
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	14	(6,793)	6,802
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან გადსახადამდე და პროცენტამდე		(4,246)	2,705
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
გადახდილი პროცენტი		-	-
წმინდა მიღებული ფული საოპერაციო საქმიანობიდან		(4,246)	2,705
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(10,063)	(4,256)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(10,063)	(4,256)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
კაპიტალური დაფინანსება	11	1,757	3,266
მიღებული პროცენტი		1,057	1,787
ფინანსურ საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		2,814	5,053
წმინდა ზრდა ფულის ან ფულადი ეკვივალენტების		(11,495)	3,502
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		16,534	13,033
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე		10	(1)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	10	5,049	16,534

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 ივნისს:

თორნიკე ტყემელაშვილი
დირექტორი



მაია ნაჭყებია
ბუღალტერი

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:</i>			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(477)	1,123
<i>არაფულადი კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	6	624	611
საპროცენტო შემოსავალი	17	(1,057)	(1,787)
უიმედო და საექვო ვალების ხარჯი		516	121
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ანარიცხის ცვლილება		-	26
შემოსავალი ძირითადი საშუალების ინვენტარიზაციიდან		-	-
საკურსო ზარალი		(10)	1
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(საქმიანობაზე გასული) ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე		(404)	95
<i>სამუშაო კაპიტალის კორექტირება:</i>			
<i>შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:</i>			
ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ მარაგებში		(10)	(52)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	7	(104)	373
ცვლილებები გაცემულ ავანსებში	8	3,353	(4,246)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში		99	26
<i>(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:</i>			
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	13	(387)	(293)
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	14	(6,793)	6,802
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან გადასახდამდე და პროცენტამდე		(4,246)	2,705
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
გადახდილი პროცენტი		-	-
წმინდა მიღებული ფული საოპერაციო საქმიანობიდან		(4,246)	2,705
<i>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(10,063)	(4,256)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(10,063)	(4,256)
<i>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</i>			
კაპიტალური დაფინანსება	11	1,757	3,266
მიღებული პროცენტი		1,057	1,787
ფინანსურ საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		2,814	5,053
წმინდა ზრდა ფულის ან ფულადი ეკვივალენტების		(11,495)	3,502
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		16,534	13,033
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე		10	(1)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	10	5,049	16,534

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 ივნისს:

თორნიკე ტყეშელაშვილი
დირექტორი

მაია ნაჭყებია
ბუღალტერი

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „სპორტმენსერვისი“ (ს/ნ 204878542) დაარსდა საქართველოში კომპანიის იურიდიულ მისამართია ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., №49ა, ხოლო საქმიანობის ადგილი ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, 15ა.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს სპორტული ბაზების მოდერნიზაცია, გადაიარაღება, გადაფორმება და კაპრემონტის სამუშაოების ჩატარება, ამ დარბაზების შემდგომი გაქირავება ექსპლუატაციის მიზნით.

კომპანიის მფლობელი: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100% წილის მფლობელია სახელმწიფო, ხოლო წილის მმართველი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის. საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა ძირითადი საშუალებებისა რომლის ყველა ჯგუფი აღირიცხება შესყიდვის შემდგომ გადაფასებული ღირებულებით.

ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ახალი ან შეცვლილი სააღრიცხვო სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიამ დანერგა და გაითვალისწინა ყველა ახალი და შეცვლილი სააღრიცხვო სტანდარტები და ინტერპრეტაციები ბასსს მიერ გამოშვებული რომელიც იყო სავალდებულო მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა

ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი ликвидურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში

ძირითადი საშუალებები

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება რეალური ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.
- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიწას და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	0.2%
მანქანა-დანადგარები	5%
ოფისის აღჭურვილობა	5%
სატრანსპორტო საშუალებები	15%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5%

გადაფასების ნამეტი წარდგება სრულ შემოსავალში როგორც ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი. გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი წარდგება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი. გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში გადაფასების რეზერვის სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში ჩართული გადაფასების ნამეტი გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე გადადის, როდესაც წყდება აქტივის აღიარება. რაც მოიცავს ნამეტის მთლიან მოცულობას, მოცემული აქტივის გასვლის ან გაყიდვის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს, რომლებიც აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის ჯგუფის შიგნით გენერირებულ გუდვილსა და ბრენდებზე გაწეული ხარჯები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ამორტიზაცია, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის

გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოღინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით.

მარაგები

კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისას ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად ნორმატიული დანაკარგების გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც კომპანია ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები).

აღიარება და აღიარების შეწყვეტა. კომპანია აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდის ან გაყიდის აქტივს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

კომპანია ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის განახლება არსებითად განსხვავებული პირობებით, აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულების.

ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში.

- *ამორტიზირებული ღირებულება.* აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.

- *გაუფასურება.* კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად იყენებს მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასების მიდგომას.

- *ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.* კომპანიის ფინანსური აქტივები ყველა წარდგენილი ანგარიშგების თარიღისთვის ხდება იმ კატეგორიაში რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს.

- *ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა.* ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს- საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრებისას.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები გამოხატულია გაუფასურებით შემცირებული ღირებულებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო-კრედიტორული დავალიანებები

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი

2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ რომლის მიხედვითაც კომპანიები, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

კომპანია დამფუძნებელთან განხორციელებულ ოპერაციებს აღიარებს კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში. თუ დამფუძნებლის დაფინანსება თავდაპირველი მიზნობრიობით არ არის განსაზღვრული ისეთი აქტივის დასაფინანსებლად რომელიც უნდა შევიდეს კომპანიის კაპიტალში მიღებული დაფინანსება აღიარდება პირდაპირ დაგროვილი მოგების მუხლში, ხოლო თუ განსაზღვრულია ისეთი აქტივისთვის რომელიც განკუთვნილია მომავალში კაპიტალში შესატანად მაშინ აღიარდება კაპიტალის მუხლში.

იმ შემთხვევაში როდესაც ხდება დამფუძნებლის მიერ შეტანილი ქონების კაპიტალიდან ამოღება, კაპიტალი მცირდება შეტანის მომენტში განსაზღვრული ღირებულებით ხოლო სხვა დანარჩენი ცვლილებები აღიარდება კაპიტალის სხვა მუხლებზე იმისდა მიხედვით თუ რომელი ელემენტი იყო დაკავშირებული გატანილი აქტივის ღირებულების ცვლილებასთან.

ამონაგების მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

კომპანია შემოსავლებს იღებს საცურაო აუზის და ტანვარჯიშის აბონიმენტების რეალიზაციიდან. აბონიმენტის გადაცემიდან მომსახურების გაწევის დასრულებამდე შემოსავალი აღიარდება როდესაც მომხმარებელს გადაეცემა მომსახურება გარკვეული პერიოდის განმავლობაში აბონიმენტის განგრძლივობიდან გამომდინარე.

იჯარა

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა, კომპანია აფასებს:

- გულისხმობს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენებას
- კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. კომპანიას უფლება აქვს განსაზღვროს როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში. იშვიათ შემთხვევებში, როდესაც წინასწარ არის დადგენილი შესაბამისი გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი, კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება თუ:

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- (i) კომპანიას აქვს აქტივის ექსპლუატაციის უფლება;
- (ii) კომპანიამ იმგვარად დააპროექტა აქტივი (ან აქტივის გარკვეული ასპექტები), რაც თავად განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით იქნება გამოყენებული აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.
- კომპანია როგორც მეიჯარე, საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადებისას კომპანია, ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მათი შესაბამისი დამოუკიდებელი ფასების მიხედვით. როდესაც კომპანია მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას. თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, კომპანია ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, „კომპანია“ გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის. თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ კომპანია ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.
- კომპანია საოპერაციო იჯარების ფარგლებში მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად. ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. თუ აქტივის გამოყენების ვადა შეზღუდულია რაიმე სახის საკონტრაქტო ვალდებულებით, მისი გაცვეთა ხდება საკონტრაქტო პერიოდზე.

- საგადასახადო კანონმდებლობა.

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში.

შპს „სპორტმშენსერვისი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ძირითადი საშუალებები

ღირებულება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
1 იანვარი 2023	116,546	3,046	194,483	709	1,813	137	570	317,304
ძირითადი საშუალებების კაპიტალში შეტანა	7,034	-	3,310	-	453	-	6	10,803
ძირითადი საშუალებების შემოსვლა	-	3,644	208	5	148	124	130	4,259
დაუმთავრებელი მშენებლობიდან შენობებზე გადატანა	-	(2,754)	2,754	-	-	-	-	-
ძირითადი საშუალებების კაპიტალიდან გატანა	(35)	-	(3)	-	-	-	-	(38)
31 დეკემბერი 2023	123,545	3,936	200,752	714	2,414	261	706	332,328
ძირითადი საშუალებების კაპიტალში შეტანა	-	148	-	-	-	-	-	148
ძირითადი საშუალებების შემოსვლა	-	8,221	1,514	1	40	12	100	9,888
დაუმთავრებელი მშენებლობიდან შენობებზე გადატანა	-	(5,833)	5,833	-	-	-	-	-
ძირითადი საშუალებების კაპიტალიდან გატანა	(8,113)	-	(2,475)	-	-	-	-	(10,588)
31 დეკემბერი 2024	115,432	6,472	205,624	715	2,454	273	806	331,776
დაგროვილი ცვეთა								
1 იანვარი 2023	-	-	(484)	(90)	(238)	(22)	(12)	(846)
ცვეთის ხარჯი	-	-	(397)	(36)	(114)	(29)	(35)	(611)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	-	(881)	(126)	(352)	(51)	(47)	(1,457)

შპს „სპორტმშენსერვისი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ცვეთის ხარჯი	-	-	(403)	(36)	(121)	(39)	(23)	(622)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	26	-	-	-	-	26
31 დეკემბერი 2024	-	-	(1,258)	(162)	(473)	(90)	(70)	(2,053)

საბალანსო ღირებულება

1 იანვარი 2023	116,546	3,046	193,999	619	1,575	115	558	316,458
31 დეკემბერი 2023	123,545	3,936	199,871	588	2,062	210	659	330,871
31 დეკემბერი 2024	115,432	6,471	204,367	553	1,981	183	736	329,723

დაუმთავრებელი მშენებლობის ნაშთი წარმოადგენს თბილისში დილმის ჭიდაობის სასახლის, თბილისში ორთაჭალაში მდებარე მუზეუმის ირგვლივ არასპორტული მოსასვენებელი სივრცის მოწყობასა და თბილისში ველოდრომისა და ველოტრეკის მოწყობის სპორტული კომპლექსების მშენებლობას და სხვა მშენებლობებს.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	1,800	1,696
სხვა მოთხოვნები	6	6
ფინანსური მოთხოვნები, სულ	1,806	1,702
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(642)	(126)
ფინანსური მოთხოვნები, წმინდა	1,164	1,576

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოძრაობა:

	2024	2023
ნაშთი წლის დასაწყისში	(126)	(5)
მოგება/(ზარალი) აღიარებული რეზერვის ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებიდან	(516)	(121)
ნაშთი წლის ბოლოს	(642)	(126)

არ არის არსებითი განსხვავება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო და სამართლიან ღირებულებას შორის.

8. გაცემული ავანსები

2024 წელს გაცემული ავანსები სრულად, წარმოადგენს მიმდინარე პროექტებისთვის გადახდილ ავანსებს.

2023 წელს, 3,789 ათასი ლარი წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დავალებით სპორტსმენთა ეკიპირება-აღჭურვილობისა და სპორტული ობიექტების სპორტული ინვენტარის აღჭურვილობით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქონლის შესყიდვისთვის გაცემულ ავანსებს, ხოლო 457 ლარი მიმდინარე პროექტებისთვის გადახდილ ავანსებს.

შპს „სპორტშენსერვისი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,808	16,305
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	241	229
სულ	5,049	16,534

10. ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)

ფულის განაწილება ანგარიშების ტიპების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი დეპოზიტები	5,039	16,532
მიმდინარე ანგარიში	10	2
სულ	5,049	16,534

მოკლევადიანი დეპოზიტები განთავსებული სს "საქართველოს ბანკსა" და სს "ტერა ბანკში". წლის განმავლობაში გენერირებულმა საპროცენტი შემოსავალმა შეადგინა 1,057 ლარი (2023: 1,787 ლარი).

საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტზე ლარის შემთხვევაში შეადგენს 9.5%-12.9%-ს, ხოლო დოლარის შემთხვევაში 1%-ს.

არ არის არსებითი განსხვავება ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო და სამართლიან ღირებულებას შორის.

11. კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალის შემცირება უკავშირდება არაფულადი აქტივების კაპიტალიდან გატანას.

დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები წარმოადგენს დამფუძნებლისგან მიღებულ დაფინანსებას. ეს მოიცავს იმ სახსრებს, რომლებიც გამოყოფილია მიმდინარე პროექტის ნაწილობრივი დაფინანსებისთვის, რათა კომპანიას მომავალში სხვა პროექტების განხორციელებისას სირთულები არ შეექმნას. კომპანიის მფლობელი არ მოითხოვს აღნიშნული დაფინანსების დაბრუნებას.

2024 წელს ამგვარი დაფინანსება შეადგენდა 1,757 ლარს და დაკავშირებული იყო ორთაჭალის ციხის ტერიტორიაზე ღია ამფითეატრის მშენებლობასთან, თელავის სპორტკომპლექსის რემონტთან და ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ყორულდაშში ალპინისტური ბანაკი (მცირე ხნით გასაჩერებელი შენობა და ადგილი კარვებისთვის) მშენებლობასთან.

2023 წელს ამგვარი დაფინანსება შეადგენდა 2,400 ლარს და სრულად დაკავშირებული იყო თბილისში, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N10-ში ახალი სპორტული კომპლექსის შეძენასთან, ორთაჭალის ციხის ტერიტორიაზე ღია ამფითეატრის მშენებლობასთან და დიდშის საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე (სტადიონების მახლობლად) სროლის სავარჯიშო სივრცის მოწყობასთან.

აღნიშნული ოპერაციები სრულად აისახა პირდაპირ დაგროვილ მოგებაზე როგორც დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	377	1,036
საკონტრაქტო ვალდებულებები	279	8
სხვა ვალდებულებები	2	1
სულ	658	1,045

საკონტრაქტო ვალდებულები წარმოადგენს კონტრაქტორებისთვის დაკავებულ თანხებს რომელსაც კომპანია უბრუნებს კონტრაქტორებს საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ.

არ არის არსებითი განსხვავება სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო და სამართლიან ღირებულებას შორის.

13. მიღებული ავანსები

2024 წელს მიღებული ავანსების ნაშთი 9 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს კონტრაქტორების მიერ განხორციელებულ წინასწარ გადახდებს.

მიღებული ავანსები წარმოადგენს 2023 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან მიღებულ თანხებს, რომელიც უკავშირდება სამინისტროს დავალებით სპორტსმენთა ეკიპირება- აღჭურვილობისა და სპორტული ობიექტების სპორტული ინვენტარის აღჭურვილობით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქონლის შესყიდვას.

14. შემოსავალი დარბაზების სტადიონების და სხვა სპორტული ობიექტების იჯარიდან

შემოსავალი იჯარიდან წარმოადგენს სპორტული კომპლექსების გაქირავებით მიღებულ შემოსავალს. ძირითად მოიჯარეებს წარმოადგენენ სპორტული ფედერაციები და კლუბები.

15. შემოსავალი მომხარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

	2024	2023
შემოსავალი საცურაო აუზის აბონიმენტების რეალიზაციიდან	1,232	1,313
შემოსავალი ტანვარჯიშის არენას აბონიმენტების რეალიზაციიდან	260	266
სხვა შემოსავალი	47	-
სულ	1,539	1,579

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
დაცვის ხარჯი	(1,002)	(853)
სამეურნეო ხარჯი	(234)	(224)
საწვავის ხარჯი	(39)	(39)
საკონსულტაციო ხარჯი	(35)	(36)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(22)	(22)
მივლინების ხარჯი	(16)	(9)
რემონტის ხარჯი	(11)	(62)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	-	(26)
სხვა საერთო ხარჯი	(97)	(83)
სულ	(1,456)	(1,354)

17. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი სრულად უკავშირდება ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ თანხებზე დარიცხულ სარგებელს.

18. პირობითი ვალდებულებები გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

18. პირობითი ვალდებულებები გადასახადები (გაგრძელება)

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

19. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,049	16,534
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,164	1,576
სულ ფინანსური აქტივები	6,213	18,110

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია კრედიტზე გაყიდვებით. კერძოდ კომპანიას აქვს კრედიტით რეალიზაციები, როდესაც იჯარით გასცემს სპორტულ კომპლექსს. საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, უზრუნველყოფს რისკების მართვას მისაღებ დონემდე. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია იყენებს ვადაგადაცდილებული დებიტორული დავალიანებების დარეზერვების პოლიტიკას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება გამოსახულია ლარში და შესაბამისად კომპანიას სავალუტო რისკი არ წარმოეშვება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიას არ აქვს მიღებული სესხი და შესაბამისად არ დგას ამ რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები ყველა საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენს ერთ წლამდე დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებებს.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიღებული ავანსები	მშობელი საწარმო	-	6,802

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ტრანზაქციები მენეჯმენტთან:

	2024	2023
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასი	100	78

21. ცვლილება შესადრის მონაცემებში

კომპანიამ 2023 წელს შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა კაპიტალურ ტრანსფერებთან მიმართებაში და დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები ასახა პირდაპირ კაპიტალის მუხლში თუმცა 2022 წლის კაპიტალური ტრანსფერი ოდენობით 18,957 ათასი ლარი, რომელიც 2023 წელს სრულად იქნა გადატანილი კომპანიის საწესდებო კაპიტალში აისახა პროსპექტულად და არ მოხდა მისი რეტროსპექტულად გასწორება, კომპანიამ 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში გაასწორა აღნიშნული ხარვეზი და ასახა სწორად კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემულია ამონარიდი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებიდან რომელიც წარდგენილ იყო ცვლილებამდე და ამჟამად წარედგინება ცვლილების შემდეგ:

	31-12-2022 კორექტირებამდე	კორექტირება	31-12-2022 კორექტირების შემდეგ
საწესდებო კაპიტალი	217,505	18,957	236,462
	31-12-2023 კორექტირებამდე	კორექტირება	31-12-2023 კორექტირების შემდეგ
საწესდებო კაპიტალის ზრდა	102,649	(18,957)	83,692

22. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 5 ივნისს პერიოდში კომპანიის კაპიტალი შემცირდა 8,047 ათასი ლარის ოდენობით.

2025 წლის თებერვლის თვეში კომპანიას მართვის უფლებით გადაეცა თბილისში, დიდმის სასწ.საცდელ მოურნეობა, ახლად შენებული „ყინულის სასახლე“.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები.

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სპორტმშენსერვისი“ (შემდგომში - „სპორტმშენსერვისი“) არის მეწარმე სუბიექტი იგი შექმნილია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, რომელმაც სახელმწიფო რეგისტრაცია შესაბამისი წესით, სამეწარმეო რეესტრში გაიარა ვაკე-საბურთალოს სასამართლოს 1999 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით. მისი დამფუძნებელი და კაპიტალში წილის 100%-ის მესაკუთრე პარტნიორია სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 15 მარტის №15/03/06 განკარგულებისა და 2013 წლის 25 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული „სპორტმშენსერვისის“ 100% წილი მართვის უფლებით. „სპორტმშენსერვისი“ არ წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას, მისი საქმიანობა ძირითადად რეგულირდება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით, საკუთარი წესდებითა და სხვა მოქმედი კანონმდებლობით, რომელიც არეგულირებს იურიდიული პირების (სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების) უფლებებსა და მოვალეობებს. „სპორტმშენსერვისის“ კაპიტალის ფორმირება ხორციელდება პარტნიორის შენატანებით და საკუთარი აქტივობების მეშვეობით. კომპანიის დირექტორია თორნიკე ტყემელაშვილი

2. საწესდებო კაპიტალი

„სპორტმშენსერვისის“ საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 317,663,963 ლარს.

შპს „სპორტშენსერვისის“ საწესდებო კაპიტალის დინამიკა (2023-2024)

#	თარიღი	მიღება ერთეულ ლარში	გასვლა ერთეულ ლარში	პერიოდის ნაშთი ერთეულ ლარში	ტიპი	ტერიტ. ერთეული	საკად. კოდი
	ნაშთი 01.01.2023			217,505,021.10			
1	10.02.2023	91,846,418.75		309,351,439.85	ქონება	ქ. თბილისი	01.14.04.030.044
2	28.02.2023	452,948.00		309,804,387.85	ქონება	ქ. თბილისი	N/A
3	27.04.2023	504,000.00		310,308,387.85	ქონება	ყაზბეგი, სოფ. ჯუთა	74.02.15.972
4	27.04.2023	620,280.00		310,928,667.85	ქონება	ქ. თბილისში, გიორგი გურამიშვილის ქ. N8ზ	01.18.09.003.097
5	8.05.2023	6,528.00		310,935,195.85	ქონება	თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 15 ა, თბილისი არენა	
6	16.05.2023	946,000.00		311,881,195.85	ქონება	ქ. თბილისი, სოფელი დილომი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №56	01.72.14.020.203
7	16.05.2023	803,500.00		312,684,695.85	ქონება	ქ. თბილისი, სოფელი დილომი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №56	01.72.14.020.203
8	16.05.2023	1,266,500.00		313,951,195.85	ქონება	ქ. თბილისი, სოფელი დილომი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №56	01.72.14.020.203
9	16.05.2023	3,335,000.00		317,286,195.85	ქონება	ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა №49	01.10.06.001.300
10	16.05.2023	477,700.00		317,763,895.85	ქონება	ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა №49	01.10.06.001.300
11	16.05.2023	117,300.00		317,881,195.85	ქონება	ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა №49	01.10.06.001.300

შპს „სპორტმშენსერვისი“
 მმართველობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12	09.06.2023		21,000.00	317,860,195.85	ქონება	კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალქალაქი	67.17.36.014
13	09.06.2023		7,600.00	317,852,595.85	ქონება	კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალქალაქი	67.17.36.056
14	09.06.2023	77500		317,930,095.85	ქონება	ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელი ყორულდაში	87.08.23.183
15	24.07.2023	445,092.00		318,375,187.85	ქონება	გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი ფხოველი	51.18.52.001
16	24.07.2023	108908		318,484,095.85	ქონება	გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი ფხოველი	51.18.52.082
17	01.09.2023	13,800.00		318,497,895.85	ქონება	ქალაქ ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა	28.01.22.116
18	01.09.2023	318000		318,815,895.85	ქონება	ქალაქ ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა	28.01.22.116
19	01.09.2023	69,936.00		318,885,831.85	ქონება	ქალაქ ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა	28.01.22.266
20	01.09.2023	252500		319,138,331.85	ქონება	ქალაქ ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა	28.01.22.266
21	01.09.2023	583,728.00		319,722,059.85	ქონება	ქალაქ ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა	28.01.22.267
22	01.09.2023	10000		319,732,059.85	ქონება	ქალაქ ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა	28.01.22.267
23	01.09.2023	10,000.00		319,742,059.85	ქონება	ქალაქ ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა	28.01.22.267
24	01.09.2023	6000		319,748,059.85	ქონება	ქალაქ ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა	28.01.22.267
25	01.09.2026	6,000.00		319,754,059.85	ქონება	ქალაქ ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა	28.01.22.267
26	01.09.2023	32400		319,786,459.85	ქონება	ქალაქ ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა	28.01.22.267
27	01.09.2023	3,000.00		319,789,459.85	ქონება	ქალაქ ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა	28.01.22.267
28	01.09.2023	331548		320,121,007.85	ქონება	ქალაქ ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა	28.01.22.268
29	01.09.2023	792.00		320,121,799.85	ქონება	ქალაქ ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა	28.01.22.134

შპს „სპორტმშენსერვისი“
 მმართველობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

30	01.09.2023	3900		320,125,699.85	ქონება	ქალაქ ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა	28.01.22.134
31	21.12.2023		2,984.89	320,122,714.96	ქონება	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N49ა	01.14.07.008.014
32	21.12.2023		6,196.50	320,116,518.46	ქონება	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N49ა	01.14.07.008.014
33	13.02.2024		22,151,646.00	297,964,872.46	ქონება	თელავი, ალაზნის გამზირის მიმდებარედ	53.20.31.600
34	13.02.2024		105,231.93	297,859,640.53	ქონება	თელავი, ალაზნის გამზირის მიმდებარედ	53.20.31.600
35	19.03.2024		108,908.00	297,750,732.53	ქონება	გურჯაანი, სოფელ ფხოველი	51.18.52.082
36	25.03.2024		257,049.00	297,493,683.53	ქონება	გურჯაანი, სოფელ ფხოველი	51.37.51.001
37	26.06.2024	105,231.93		297,598,915.46	ქონება	თელავი, ალაზნის გამზირის მიმდებარედ	53.20.31.600
38	26.06.2024	22,151,646.00		319,750,561.46	ქონება	თელავი, ალაზნის გამზირის მიმდებარედ	53.20.31.600
39	26.07.2024		14,792.41	319,735,769.05	ქონება	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49ა	01.14.07.008.014
40	26.07.2024		30,708.80	319,705,060.25	ქონება	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49ა	01.14.07.008.014
41	04.09.2024		800.00	319,704,260.25	ქონება	ქ. თბილისი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა №10	01.18.09.003.116
42	04.09.2024		800.00	319,703,460.25	ქონება	ქ. თბილისში, გიორგი გურამიშვილის ქუჩა №10	01.18.09.003.116
43	04.09.2024		800.00	319,702,660.25	ქონება	ქ. თბილისი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა №10	01.18.09.003.116
44	04.09.2024		1,652,102.84	318,050,557.41	ქონება	ქ. თბილისი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა №10	01.18.09.003.116
45	11.10.2024		333,163.16	317,717,394.25	ქონება	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49ა	01.14.07.008.014
46	11.10.2024		53,430.92	317,663,963.33	ქონება	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49ა	01.14.07.008.014
31.12.2024წ. მდგომარეობით				317,663,963.33			

ვაკის სამდარბაზიანი სპორტკომპლექსი

ვაკის 3 დარბაზიანი სპორტკომპლექსი (საკ.კოდი 01.14.07.008.014) აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა 90-იან წლებში. „სპორტმშენსერვისის“ ბალანსზე რიცხული ვაკის 3 დარბაზიანი სპორტკომპლექსის ფართებიდან ძირითადი ნაწილი აუქციონის წესით იყო გაცემული იჯარით. 2024 წლის 11 ოქტომბრის საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო ბრძანების საფუძველზე სახელმწიფოსთვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, 01.14.07.008.014) შპს „სპორტმშენსერვისის“ (ს/ნ: 204878542) კაპიტალიდან ამოღებული იქნა ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49ა-ში (ს/კ მდებარე, რეგისტრირებული შპს „სპორტმშენსერვისის“ (ს/ნ: 204878542) საკუთრებად რეგისტრირებული ქონება სრულად, კერძოდ, 4069.77 კვმ. შენობა-ნაგებობა და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი.

ოლიმპიური ობიექტების მშენებლობა

2013 წლის მეორე ნახევარში შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისის“ დამფუძნებლის (სახელმწიფო), საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის ფარგლებში განხორციელებულიყო ორი მასშტაბური სამშენებლო პროექტი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. საუბარია ოლიმპიურ აუზსა და ოლიმპიურ სასახლეზე. ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელება დამფუძნებლისვე გადაწყვეტილებით დაევალა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისის“, რისთვისაც საქართველოს მთავრობის განკარგულებით მოხდა შესაბამისი ფულადი სახსრების გამოყოფა ორგანიზაციის კაპიტალის გაზრდის მიზნით.

„ოლიმპიური სასახლე“

ოლიმპიური სასახლე აშენდა 2015 წელს თბილისში ჩატარებული ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში.

პირველ რიგში გვინდა მოგახსენოთ ოლიმპიური სასახლის ექსპლუატაციის კონცეფციის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ორდარბაზიან სპორტულ კომპლექსს სასარგებლო ფართით - 15 509.98 კვ/მ. ჩვენს მიერ მშენებლობის პროცესშივე დაიწყო ბაზრის მოკვლევა და შესწავლა, რის შემდეგაც დაიგეგმა სტრატეგია ობიექტის შემდგომი განვითარების მიზნით. განხორციელდა არაერთი შეხვედრა სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებთან და დაინტერესებულ სეგმენტთან, რის შედეგადაც 2015 წლის სექტემბრის ბოლოს უკვე გაჩნდა პირველი კონტრაქტორები და დაიწყო შენობის დატვირთვა. 2015 წლის ბოლო კვარტლის შედეგების თანახმად ოლიმპიურმა სასახლემ შემოსავლის კუთხით 311 700 ლარიან ნიშნულს მიაღწია. 2015 წლის ბოლოსვე შევძელით გვემასპინძლა ისეთი დონის საერთაშორისო ტურნირისთვის როგორიცაა ფარიკაობის მსოფლიო თასი.

თანამედროვე სტანდარტების დაცვით აშენებულ ოლიმპიურ სასახლეში ორი დარბაზია მოწყობილი, სადაც ერთდროულად შესაძლებელია სპორტის სხვადასხვა სახეობების ტურნირების ჩატარება, როგორც სათამაშო, ასევე ინდივიდუალურ სახეობებში – ხელბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ძიუდოში, ჭიდაობაში, მინი-ფეხბურთში, ფარიკაობაში და ა.შ.

დიდი დარბაზი 2700 გულშემატკივარს, მცირე კი 600 გულშემატკივარს იტევს. ორივე დარბაზი აღჭურვილია გასახდელეებით, საშხაპეებით, სამედიცინო და დოპინგ-კონტროლის ოთახებით. სპორტულ კომპლექსში ასევე განთავსებულია:

- 150 ადამიანზე გათვლილი VIP ლაუნჯი,
- 100-120 ადამიანზე გათვლილი საკონფერენციო ოთახი,

- 80-100 ადამიანზე გათვლილი მედიაოთახი,
- სივრცე კვების ობიექტისთვის
- სასტუმრო (9 ნომერი)
- სპორტულ კომპლექს აქვს საკუთარი, 260 მანქანაზე გათვლილი პარკინგი.

აღსანიშნავია რომ კომპლექსი მასპინძლობს ღონისძიებების ისეთ სახეობებს, რომელთათვის სპეციალური ლოკაციები არის მოწყობილი, მაგალითად:

- ევროვიზია და სხვა და სხვა საკონცერტო საღამოები (მუსიკალური დაწესებულებები)
- მიუდოს გრან პრი (მიუდოს აკადემია) და სხვა.

ოლიმპიური აუზი

„ოლიმპიური აუზი“ (საკ.კოდი 01.72.14.009.354) აშენდა 2015 წელს, თბილისში ჩატარებული ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში. შესაბამისად ის აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და მომხმარებელს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს, როგორც სპორტული ტურნირების ორგანიზების, ასევე დამსვენებელთა მიღების კუთხით. აუზის მიწის ფართი შეადგენს - 19 603.00 კვ/მ, შენობა-ნაგებობის ფართი - I-II სართული 5 069.3 კვ/მ, ღია აუზის - 2375 კვ/მ, აუზის გარე პერიმეტრი - 2250 კვ/მ, დამხმარე ფართი I სართულზე -640 კვ/მ და საქვაბე 157 კვ/მ-ს.

საცურაო კომპლექსი აერთიანებს ორ ღია ტიპის აუზს და ერთ დახურულ „საჭყუმპალას“ ბავშვებისათვის. კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსებულია ორი სხვადასხვა ზომის სპორტული დარბაზი . აქვე მოცემულია მათი ზომები: ღია აუზი - 50*25მ და 35*25მ; საბავშვო დახურული აუზი - 12*3მ; ხოლო დარბაზის - 300 კვმ. და 144 კვმ. აუზში.

ოლიმპიურ აუზს აქვს შესაძლებლობა უმასპინძლოს საწყალოსნო სპორტის ნებისმიერ სახეობას. ღია აუზების გარშემო განთავსებულია ტრიბუნები, რომლებიც გათვლილია 2160 მაყურებელზე. ზემოაღნიშნული მომსახურება ითვალისწინებს შშმ პირებსაც. ასევე ადმინისტრაციული შენობის პირველ და მეორე სართულზე განთავსებულია 15-მდე საოფისე და საკონფერენციო ოთახი, ხოლო კომპლექსის გარე ნაწილში 8 სასაწყობო ოთახი. აუზის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ღია და დახურული კაფე-ბარი.

ოლიმპიური აუზი თავისი შინაარსით წარმოადგენს სპეციფიურ ობიექტს იმის გათვალისწინებით რომ ძირითადი აუზები ღია ტიპისაა და მათი მომსახურება განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

ოლიმპიურმა აუზმა როგორც ზემოთ მოგახსენეთ ღირსეულად უმასპინძლა 2015 წლის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს, ხოლო სეზონური ფუნქციონირება 2016 წლის ივნისიდან დაიწყო.

2022 წელს ოლიმპიურ აუზში გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები სერვისის გაუმჯობესების მიზნით. მთლიანად ამოღებული იქნა ნაღდი ფულის მოძრაობა, მოწესრიგდა ვიზიტორების შესვლა-გამოსვლის დროის პროგრამული აღრიცხვა და კონტროლი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ოლიმპიური აუზის“ ვიზიტორებისათვის კომფორტის შექმნისა და დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით შპს „სპორტმშენსერვისი“ ყოველწლიურად აცხადებს იჯარაზე საჯარო აუქციონს კაფის მომსახურების მიზნით.

ტანვარჯიშის არენა

2018 წელს ტანვარჯიშის არენა დამფუძნებლის მიერ შეტანილ იქნა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს კაპიტალში. იგი აერთიანებს 2 დახურულ დარბაზს.

ასევე ტანვარჯიშის არენაზე ფუნქციონირებს ბავშვთა შემსწავლელი ჯგუფები: მხატვრული და სპორტული ტანვარჯიში, აკრობატიკა და ბატუტზე ხტომა. აღნიშნულ ჯგუფებს ამზადებენ სერთიფიცირებული აღმზრდელები შესაბამის სახეობაში.

ტანვარჯიშის არენაზე დამონტაჟებულია ტურნიკების დაშვების სისტემა, ტანვარჯიშის არენის დარბაზებისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბაზრის მოკვლევის პრინციპით დადგინდა მომსახურეობების მინიმალური ღირებულებები სხვადასხვა შეთავაზებებზე, ხოლო „სპორტმშენსერვისის“ მენეჯმენტის მიერ განისაზღვრა მომსახურეობების შეთავაზების საბოლოო ფასები, სადაც სრულად იქნა გათვალისწინებული სოციალური საკითხი და ფასები განისაზღვრა გაცილებით დაბალი ვიდრე კონკურენტებისა. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესი იყო მომსახურების დონის მაღალი სტანდარტი გამოხატულიყო სავარჯიშო ინვენტარის ხარისხსა და ჰიგიენის ნორმების უმკაცრეს დაცვაში, უსაფრთხოების მაღალ დონეში და ასევე სხვა მომსახურეობების მაღალ სტანდარტში. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით აუცილებელი გახდა კვალიფიციური კადრების დასაქმება და ორივე მხარისთვის მისაღები შრომის ანაზღაურების გადახდა. შპს „სპორტმშენსერვისის“ თითოეული თანამშრომლის ჩართულობით და დაუღალავი შრომის ხარჯზე მიღწეულ იქნა ზემოჩამოთვლილი მოთხოვნები.

სწორად დაგეგმილმა მართვის მოდელმა და გატარებულმა ღონისძიებებმა, როგორც არის ვიზიტორთა ელექტრონული ბაზების შექმნა, ვიზიტორების პროგრამული აღრიცხვა და კონტროლის სისტემის დანერგვა (მათ შორის „ტურნიკეტების“ დაყენება), გამოიწვია შემოსავლის მკვეთრი ზრდა .

ფრენბურთის არენა

2018 წელს ფრენბურთის არენა დამფუძნებლის მიერ შეტანილ იქნა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს კაპიტალში. იგი აერთიანებს ორ დარბაზს.

ფრენბურთის დარბაზს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რათა შეძლებული საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარება.

ფრენბურთის არენის დარბაზებისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბაზრის მოკვლევის პრინციპით დადგინდა მომსახურეობების მინიმალური ღირებულებები სხვადასხვა შეთავაზებებზე, ხოლო „სპორტმშენსერვისის“ მენეჯმენტის მიერ განისაზღვრა მომსახურეობების შეთავაზების საბოლოო ფასები, სადაც სრულად გათვალისწინეთ სოციალური საკითხი და ფასები განისაზღვრა გაცილებით დაბალი ვიდრე კონკურენტებისა. ფრენბურთის დარბაზებში მიმდინარე წელს ჩატარდა არაერთი საერთაშორისო ტურნირი.

2020 წლის ბოლოსთვის მოხდა ფრენბურთის დარბაზის კაპიტალიდან ამოღება.

ფეხბურთისა და რაგბის ხელოვნური და ბუნებრივი ღია სტადიონები

2019 წლის აგვისტოს დამფუძნებლის მიერ შეტანილ იქნა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს კაპიტალში 7 ერთეული მოედანი: 3 ბუნებრივსაფარიანი და 1 ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მოედანი და 1 ბუნებრივსაფარიანი და 2 ხელოვნურსაფარიანი რაგბის მოედანი.

აღნიშნულ მოედნებს ჰირდეზათ სპეციფიური მოვლა-პატრონობა, შესაბამისად სპეცტექნიკის და პროფესიონალი კადრების დაქირავებით, მენეჯმენტის ძალისხმევით მოხდა მოედნების საექსპლუატაციო მდგომარეობამდე მიყვანა. ზემოთ მითითებული დარბაზების ანალოგიურად, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბაზრის მოკვლევის პრინციპით დადგინდა მოედნების მომსახურეობების მინიმალური ტარიფები სხვადასხვა შეთავაზებებზე, ხოლო „სპორტმშენსერვისი“ მენეჯმენტის მიერ განისაზღვრა მომსახურეობების შეთავაზების საბოლოო ფასები, სადაც სრულად გათვალისწინებული იქნა სოციალური საკითხი და ფასები განისაზღვრა გაცილებით დაბალი ვიდრე კონკურენტებისა.

კომპანიის მიერ განხორციელდა ღონისძიებები ახალი გუნდების შემოყვანის მიმართულებით და არსებულ გუნდებში სავარჯიშო დროის სწორად გადანაწილებით, რამაც განაპირობა მოედნების მაქსიმალური დატვირთვა და შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა.

სპორტის სამინისტროს 2025 წლის 5 ივნისის ბრძანებით შპს „სპორტული კლუბი იბერია 1999“-ისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით გადაცემის მიზნით, შპს „სპორტმშენსერვისი“ (ს/ნ: 204878542) კაპიტალიდან, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად, ამოღებულ იქნეს: ა) ქ. თბილისში, ბობ უოლშის ქუჩა №27-ში მდებარე 78523.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 01.72.14.009.609) 1291 კვ.მ და 18120 კვ.მ. მიწის ნაკვეთები; ბ) ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე 74016 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 01.72.14.009.555) 1266 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

ბათუმის სასახლე

ბათუმის სპორტის სასახლეს გააჩნია 2 დარბაზი.

სპორტის სასახლეში ოთახების რაოდენობა

ადმინისტრაციულ მხარე

- 13 ოთახი
- 1 სალარო ოთახი
- 1 სამზარეულო ოთახი
- 3 სველი წერტილი (საპიფარეშოები)
- 1 სათავსო ოთახი(დამლაგებლების ინვეტარისთვის)

დარბაზების მიმდებრედ

- 4 დიდი გასახდელი
- 3 პატარა გასახდელი (მაქსიმუმ 6-8 სპორსმენი)
- 2 გასახდელ-ოთახი მსაჯებისთვის
- 1 გასახდელ-ოთახი ღონისძიების კომისრებისთვის
- 1 ექიმის ოთახი
- 1 დოპინგ ოთახი
- 2 დიდი საპირფარეშო მაყურებლისთვის (კაცები ქალები)

ცენტრალური შემოსასვლელის მხრიდან

- 1 კაფის ოთახი
- 1 ლიფტი (შშმ პირებისთვის)

თელავის სასახლე

თელავის სპორტის სასახლეს დატვირთულია. სასახლეს გააჩნია 2 დარბაზი.

სპორტის სასახლეში ოთახების რაოდენობა

ადმინისტრაციულ მხარე

- 13 ოთახი
- 1 სალარო ოთახი
- 1 სამზარეულო ოთახი
- 3 სველი წერტილი (საპიფარეშოები)
- 1 სათავსო ოთახი(დამლაგებლების ინვეტარისთვის)

დარბაზების მიმდებრედ

- 4 დიდი გასახდელი
- 3 პატარა გასახდელი (მაქსიმუმ 6-8 სპორსმენი)
- 2 გასახდელ-ოთახი მსაჯებისთვის
- 1 გასახდელ-ოთახი ღონისძიების კომისრებისთვის
- 1 ექიმის ოთახი
- 1 დოპინგ ოთახი
- 2 დიდი საპირფარეშო მაყურებლისთვის (კაცები ქალები)

ცენტრალური შემოსასვლელის მხრიდან

- 1 კაფის ოთახი
- 1 ლიფტი (შშმ პირებისთვის)

გორის სასახლე

გორის სპორტის სასახლეს გააჩნია 2 დარბაზი.

სპორტის სასახლეში ოთახების რაოდენობა

ადმინისტრაციულ მხარე

- 13 ოთახი
- 1 სალარო ოთახი
- 1 სამზარეულო ოთახი
- 3 სველი წერტილი (საპიფარეშოები)
- 1 სათავსო ოთახი(დამლაგებლების ინვეტარისთვის)

დარბაზების მიმდებრედ

- 4 დიდი გასახდელი
- 3 პატარა გასახდელი (მაქსიმუმ 6-8 სპორსმენი)
- 2 გასახდელ-ოთახი მსაჯებისთვის
- 1 გასახდელ-ოთახი ღონისძიების კომისრებისთვის
- 1 ექიმის ოთახი
- 1 დოპინგ ოთახი
- 2 დიდი საპირფარეშო მაყურებლისთვის (კაცები ქალები)

ცენტრალური შემოსასვლელის მხრიდან

- 1 კაფის ოთახი
- 1 ლიფტი (შშმ პირებისთვის)

„თბილისი არენა“

2019 წლიდან სამინისტროს დავალებით შპს „სპორტმშენსერვისმა“ ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქუჩაზე დაიწყო ახალი ათიათასკაციანი მულტიფუნქციური დარბაზის მშენებლობა, რომელმაც უმასპინძლა 2022 წლის ევროპის ჩემპიონატს კალათბურთში.

„თბილისი არენა“ წარმოადგენს მულტიფუნქციურ ერთდარბაზიან შენობას, რომელიც გათვლილია 10 000 მაყურებელზე. 1500 კვადრატული მეტრის დარბაზი აღჭურვილია 6 გასახდელითა და საშხაპით; 4 მწვრთნელების ოთახით; სატრენაჟორო დარბაზით; 2 ექიმის ოთახით; 2 საკონფერენციო დარბაზით; 1 სპორტსმენთა მოსასვენებელი ოთახით; დოპინგ კონტროლის ოთახით; ჰიგიენის თანამშრომელთა და ტექნიკური სათავსოების ოთახებით.

„თბილისი არენა“-ში ასევე გამოყოფილია რამდენიმე სივრცე:

ა) მასმედიის ტერიტორიები მოიცავს შემდეგს:

- მასმედიის სამუშაო ოთახი;
- პრესკონფერენციის ოთახი;
- შერეული ზონა;
- მასმედიის ქეითერინგის ტერიტორია;
- მასმედიის ტრიბუნა სივრცე;
- სივრცე კომენტარების გასაკეთებლად;
- გრძელი სკამები ფოტოგრაფებისთვის;
- ტელეკავშირების სპეც მანქანების პარკინგი მასმედიისთვის.

ბ) VIP სივრცე;

გ) ჩემპიონატის ჩასატარებლად საჭირო ადმინისტრაციული ტერიტორიები;

დ) კომფორტის ზონები

ჩამონათვალი:

- ვიპ ლაუნჯი
- ვვიპ ლაუნჯი
- ლოჟები (skybox)
- კორპორატიული კომფორტის ზონის ლაუნჯი

ე) მოხალისეთა სივრცეები;

ვ) უსაფრთხოების სივრცეები;

ზ) 2 კაფე - თითო უნდა ემსახურობოდა 100 ადამიანს

თ) ადმინისტრაციული ტერიტორია;

„თბილისის არენა“ აღჭურვილია: 14 ერთეული სალაროთი, ლიფტებით, ტაბლოებით, ვიდეო ეკრანებით, დინამიკებით, 300 კაციანი ავტოსადგომით.

თბილისის არენა როგორც აღნიშნულია ზემოთ მულტიფუნქციურ დარბაზს წარმოადგენს. იგი აღჭურვილია უმაღლესი სტანდარტის თანამედროვე ტექნიკით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვუმასპინძლოთ სხვადასხვა სახის სპორტულ ღონისძიებებს მაგ: კალათბურთი, ფუტსალი, ხელბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი.

ჩოგბურთის კორტები

2022-2023 წწ. კომპანიამ კასპის მუნიციპალიტეტში ააშენა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ჩოგბურთის კორტები.

კორტების მახასიათებლებია:

- 3 სავარჯიშო-სათამაშო კორტი
- ტრიბუნები არ აქვს
- 1 ცენტრალური კორტი

**შპს „სპორტმშენსერვისი“
მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული**

ტრიბუნის ტევადობა 250 ადამიანი

- 4 მსაჯის კომპლექსი
- 4 საჩოგბურთო ბადა

ადმინისტრაციული შენობა

- 7 ოთახი
- 2 გასახდელი
- 3 საპრფარეშო (კაცი, ქალი, შშმ)

კორტების ტერიტორიაზე ასევე მდებარეობას შენობა ნაგებობა სადაც განთავსებულია სველი წერტილები.

- 3 საპრფარეშო (კაცი, ქალი, შშმ)

კასპის ჩოგბურთის კორტებმა 2023 წელს უმასპინძლა საერთაშორისო პრესტიჟულ ტურნირს - დევისის თასს, ასევე ჩატარდა 3 სამოყვარულო ტურნირი.

მშვილდოსნობის მოედანი

2023 წლის ოქტომბრის თვეში დასრულდა შპს „სპორტმშენსერვისის“ საკუთრებაში არსებულ ქ.თბილისში, დიდმის სასწავლო მეურნეობის ტერიტორიაზე (ს/კ 01.72.14.009.559) ტანვარჯიშის დარბაზის მიმდებარედ) მშვილდოსნობის სპორტული სახეობისთვის საჭირო სავარჯიშო მოედნის სამშენებლო სამუშაოები და მოედნის ტერიტორიაზე ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები.

ქ. თბილისი, სოფ. დიდმის სპორტული კომპლექსი -

შპს „სპორტმშენსერვისის“ 2023 წელს კაპიტალში გადმოეცა ქ. თბილისი, სოფელი დიდოში, დავით აღმაშენებლის ქ. N56-ში მდებარე სპორტული კომპლექსი. ჭიდაობის დარბაზში ვარჯიშობს 200-მდე მოზარდი, აქედან 2023 წელს ეროვნულ ნაკრებში მოხვდა 28 მოჭიდავე სახვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. 5 მოჭიდავე გახდა მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორი - 1 მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ხოლო 4 მოჭიდავე ევროპის ჩემპიონი. 6 მოჭიდავე გახდა საქართველოს ჩემპიონი 38, 48, 57, 68, 75 და 92 კგ წონით კატეგორიებში. მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყო სპორტული კომპლექსის სრული რეაბილიტაცია, რომელიც დასრულდა 2024 წლის სექტემბრის თვეში

ქალაქ ფოთის ნიჩბოსნობის და კანოეს სპორტული ბაზა

2024 წელს დასრულდა ფოთში, მალთაყვაში კანოესა და ნიჩბოსნობის ბაზის მშენებლობა. ბაზის მშენებლობა 2023 წელს დაიწყო. სპორტკომპლექსი აღიჭურვა სპორტული ინვენტარით, ავეჯითა და ტექნიკით. ბაზა მოიცავს სპორტული ინფრასტრუქტურისთვის საჭირო სავარჯიშო, სპორტსმენების საცხოვრებელ და ადმინისტრაციულ სივრცეებს, მათ შორის 22 სასტუმროს ტიპის ნომერს, საუნას, გასახდელებს, საშხაპეებს, საკონფერენციო ოთახს, შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

2023-2024 წელს განხორციელებული სხვა პროექტები

- 2023 წლის დეკემბრის თვეში დასრულდა ქ. თბილისში დიდმის სასწ. საცდელი მეურნეობა ს/კ (01.72.14.009.555) მიწის ნაკვეთზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დახურული საშეჯიბრო-სავარჯიშო ველოდრომის მშენებლობისთვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სამუშაოები.
- 2023 წლის დეკემბრის თვეში დასრულდა ქ. თბილისში ჭიჭინაძის ქ. #2-ში (ს/კ 01.19.23.021.073) ტანვარჯიშის სახეობების სპორტული დარბაზის მშენებლობისთვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სამუშაოები.
- 2023 წლის დეკემბრის თვეში დასრულდა ქ. თბილისში, გიორგი გურამიშვილის (ყოფილი გორგასლის) ქუჩა N10-ში (ს/კ 01.18.09.003.031) მდებარე ტერიტორიაზე მცირე ამფითეატრის მშენებლობა და განხორციელდა საფეხმავლო ბილიკების და ესტაკადების ნაწილის და სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოები.
- 2024 წლის 29 მარტს გაფორმდა შპს „სპორტმშენსერვისი“-ს ბალანსზე არსებული სპორტული ობიექტების: სოფ. დიდოშში, დავით აღმაშენებლის ქ. N56-ში მდებარე სპორტული დარბაზის და მინი ფეხბურთის მოედნის, დიდი დიდმის საცდელი მეურნეობის მოედნებზე არსებული სტადიონების გასახდელების, მშვილდოსნობის მოედნის, ტანვარჯიშის დარბაზის, ოლიმპიური აუზის სარემონტო სამუშაოების შესყიდვის ხელშეკრულება და აღნიშნული სარემონტო სამუშაოები დასრულდა 2024 წლის სექტემბრის თვეში.
- გურჯაანის რაიონში (საკ. კოდი: N51.18.52.001, საშეჯიბრო/საწვრთნელი ცხენოსნობის ბაზის მშენებლობისთვის 2024 წლის თებერვლის თვეში დასრულდა დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სამუშაოები;
- 2024 წელს აქტიურად მიმდინარეობდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ყორულდაშში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი 87.08.23.183 ალპინისტური ბანაკის სამშენებლო სამუშაოები.
- 2024 წლის მაისის თვეში დასრულდა ქ. ჩოხატაურში არსებული სპორტული კომპლექსის რეაბილიტაციისთვის და სხვა სპორტული სახეობებისთვის საჭირო შენობა-ნაგებობების მშენებლობისთვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება
- 2024 წელს დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობდა ქ. თბილისში, გიორგი გურამიშვილის (ყოფილი გორგასლის) ქუჩა N10-ში (ს/კ 01.18.09.003.031) მდებარე 1 სართულიანი შენობის რეაბილიტაციისა და მის მიმდებარედ ღია ამფითეატრის მშენებლობის სამუშაოები.

3. სამომავლოდ დაგეგმილი სიახლეები

2025 წელს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები

ქ. თბილისის ცენტრის არენა

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 19 ივნისის განკარგულების და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2023 წლის 20 ივნისით დათარიღებული N 00021125 წერილის საფუძველზე განხორციელდა შპს სპორტმშენსერვისის მიერ სსიპ -საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის, ქ. თბილისში ცენტრის სასახლის მშენებლობისთვის მის საკუთრებაში არსებული დიდი სასაფ. საცდელი მეურნეობა, მიწის საკადასტრო კოდი: 01.72.14.009.021, მიწის ნაკვეთის სარგებლობაში, უსასყიდლო აღნაგობისუფლებით გადაცემა.

შპს „სპორტმშენსერვისი“ და სსიპ -საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის, გაფორმდა შესაბამისი პირობებით აღნაგობის ხელშეკრულება 2023 წლის ივნისს, რომლის საფუძველზეც ფონდს მიეცა უფლება აღმართოს სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე, საჭირო შენობა-ნაგებობები და ასევე მოიპოვოს მშენებლობის ნებართვა.

2025 წლის თბილისში საერთაშორისო სტანდარტის ცენტრის არენის მშენებლობა დასრულდა და ცენტრის არენა მოემსახურება ჰოკეის, ფიგურული სრიალისა და კერლინგის სპორტის სახეობებს. თბილისის ცენტრის არენის შენობაში მოეწყო 60 მეტრი 30 მეტრზე ზომის ცენტრის მოედანი, 700-მდე მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნები, სავარჯიშო, ქორეოგრაფიული, დასასვენებელი, სამედიცინო, საგრიმირო და საკონფერენციო დარბაზები, გასახდელები და სველი წერტილები, შენობაში დამონტაჟებულია გაგრილების სისტემა, რომელიც, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, უზრუნველყოფს სხვადასხვა ტემპერატურულ რეჟიმს და ცენტრის საფარის გაგრილებასთან ერთად, არეგულირებს როგორც ტენიანობის დონეს, ისე მაყურებელთა სივრცის გათბობას მოედანზე დამონტაჟებულია ა ორი ტაბლო და განათების სისტემა, შენობა სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის

პროექტი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით განახორციელა, მისმა ღირებულებამ 29.2 მილიონი ლარი შეადგინა

აღნიშნული ობიექტი 2025 წლის 24 თებერვალს ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მართვის უფლებით გადმოეცა შპს სპორტმშენსერვისს. ცენტრის არენა, რომელიც 2025 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიადას თებერვალში უმასპინძლა.

- 2025 წელს დაგეგმილია დიდი საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე (სტადიონების მიმდებარედ) სასროლეთი-ტირის მშენებლობას, მისი სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 2,551 000 ლარს;
- 2025 წელს აქტიურად მიმდინარეობს ქ. თბილისში, გიორგი გურამიშვილის (ყოფილი გორგასლის) ქუჩა N10-ში (ს/კ 01.18.09.003.031) მდებარე 1 სართულიანი შენობის რეაბილიტაციისა და მის მიმდებარედ ღია ამფითეატრის მშენებლობის სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ იგეგმება მისი გადაცემა კულტურის სამინისტროსთვის.
- თელავის ორდარბაზიანი სპორტული სასახლის დაზიანებული სახურავის, განათების, ინტერიერის და ფასადის სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით 2025 წელს გაფორმდა ხელშეკრულებები

- ამხანაგობა თელა კონსტრუქტორთან, შპს მური-თან და შპს მშენებელი 2016-თან. აღნიშნული სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2025 წელს.
- 2025 წელს დაგეგმილია ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ყორულდაში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი 87.08.23.183 ალპინისტური ბანაკის სამშენებლო სამუშაოების დასრულება.

2025 წელს ასევე დაგეგმილია ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტების მშენებლობისთვის საჭირო საკვლევა-ძიებო, საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისთვის შესაბამისი პროცედურების განხორციელება (განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადება და საპროექტო სამუშაოების შესყიდვისთვის ტექნიკური დავალებების მომზადება და სამინისტროსთან და შესაბამის სპორტის ფედერაციებთან მომზადება.

1. მერაბ დვალიშვილის სახელობის დარბაზი (MMA);
2. სპორტის მუზეუმი;
3. აღმოსავლური ორთაბრძოლების დარბაზი;
4. საცხოვრებელი კორპუსი 100 ადამიანზე;
5. საქართველოს სპორტის კოლეჯის შენობა;
6. ფარიკაობის, ბადმინტონის და მაგიდის ჩოგბურთის შენობა;
7. სპორტის ფედერაციების და ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის შენობა;
8. ფრენბურთისა და ხელბურთის დარბაზი;
9. სპორტის სამინისტროს შენობა;
10. პარაოლიმპიური ცენტრის შენობა;
11. სპორტის მედიცინის სარეაბილიტაციო ცენტრი;
12. ტირის შენობა;
13. ჭიდაობის სასახლე.

ჯამში შენობებისთვის საგარეუდო განაშენიანების ფართი შეადგენს -26 380 მ²-ს, ხოლო ასაშენებელი ფართები შეადგენს- 52 549 მ²-ს.

შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“ მაქსიმალურად ცდილობს ბალანსზე რიცხული ყველა ობიექტი სრულად დატვირთოს და მომხმარებლებს შესთავაზოს მაღალი სტანდარტის მომსახურეობა როგორც ობიექტების აღჭურვილობის, ასევე დასაქმებული პერსონალის სახით.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

გთხოვთ, იხილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-19 განმარტებითი შენიშვნა, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია სუბიექტის ფინანსური (საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის) რისკების შესახებ და ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 25 ივნისს:

თორნიკე ტყეშელაშვილი
დირექტორი



4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

გთხოვთ, იხილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-19 განმარტებითი შენიშვნა, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია სუბიექტის ფინანსური (საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის) რისკების შესახებ და ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 25 ივნისს:

თორნიკე ტყემელაშვილი
დირექტორი